

ახალი თაობა



ევროპის ლიგის ჯგუფური ეტაპი დასასრულისკენ მიდის სტატისტიკა, ფსონები



| | | | | | | | |
|----------------------|------|-----|------|---------------------|------|------|------|
| ყარაბაგი-მონაკო | 3.3 | 3.3 | 2.2 | გროსინგენი-ლიბერეცი | 2.2 | 3.3 | 3.0 |
| ტოტენჰემი-ანდერლეხტი | 1.75 | 3.5 | 5.0 | მარსელი-ბრაგა | 1.83 | 3.4 | 4.5 |
| ბეშიქთაში-ლოკომოტივი | 1.8 | 3.3 | 5.0 | დორტმუნდი-გაბალა | 1.07 | 10.0 | 34.0 |
| შკენდერბიუ-სპორტინგი | 13.0 | 6.0 | 1.22 | კრასნოდარი-პაოკი | 1.8 | 3.3 | 4.33 |
| აიაქსი-ფენერბახჩე | 2.15 | 3.2 | 3.5 | სტ.ეტენი-დნიპრო | 2.0 | 3.2 | 4.0 |
| სელტიკი-მიოლდე | 1.61 | 3.8 | 5.5 | რუსენბორგი-ლაციო | 2.6 | 3.2 | 2.75 |
| პლზენი-რაპიდი | 2.0 | 3.4 | 3.8 | ბელენენსეში-ბაზელი | 3.5 | 3.3 | 2.1 |
| დინამო(მწ)-ვილირეალი | 6.0 | 4.0 | 1.55 | ლუბი-ფიორენტინა | 5.0 | 3.4 | 1.67 |
| ნაპოლი-მიდტიულანდი | 1.22 | 6.0 | 13.0 | ასტერასი-აპოელი | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| ბრიუგე-ლეგია | 2.05 | 3.2 | 3.8 | სპარტა-შალკე | 2.2 | 3.4 | 3.2 |
| სიონი-ბორდო | 2.5 | 3.1 | 3.0 | აუგსბურგი-ალკმარი | 1.53 | 4.2 | 6.0 |
| რუბინი-ლივერპული | 4.0 | 3.2 | 2.0 | ბილბაო-პარტიზანი | 1.33 | 5.0 | 9.0 |

სუთშაბათი, 5 ნოემბერი, 2015

№260 (6880)

ფასი: 30 თეთრი

სერგო რატიანი: „მეწყინება, რანაწერები ჩემზე რამ არ იყოს“



გვ.3

„არეულობა ხელისუფლებას აწყობს“



გვ.2

გია ხუხაშვილი: „ფარულმა რანაწერებმა შეიძლება კომიკური სახე მიიღოს“

„პირველმა შოკურმა ტალღამ გადაიარა“

ლადო საღღოგელაშვილი: „ნაციონალები ჟინძუშკები არიან“



გვ.4

რატომ გაღაღბა კახა კალაძის ცოლისძმა



გაზპროვის კრიტიკას გელა ღუმბაძეს არ შეარჩენენ



„ნაზირაშვილს საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებამოსილება უნდა შეუწყდეს“

გაამწვანეთ მომავალი „საქართველოს ნერგებთან“ ერთად!

ჭაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების შემცირებას, სუფთა და ჯანმრთელი გარემოს არსებობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მოსახლეობისთვის.

გაგრძელება მე-6 გვერდზე



ახალი თარბა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
<http://www.opentext.ge/akhaliaroba>

ქართული ლარის ვიპარო უხსოვარი ვალუტების გახვლიტი კურსი

5 ნოემბრისთვის

აშშ დოლარი — 2.3987

ევრო — 2.6441

ინგლისური სტერლინგი — 3.7122

გირვანქა

100 რუსული რუბლი — 3.7316



კალიფორნიის ინგლისელმა ყველაზე კვირი სოსისი დააფასდა



ინგლისის პემპორის საგრავოს ქალაქ ოლდერშოტში მცხოვრებმა ყავაზე კვინ ტერნერმა განაცხადა, რომ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული სოსისი დაამზადა. მის მიერ დაამზადებული პროდუქტის ფასი 37 ფუნტს (57 დოლარი) შეადგენს, მაშინ როდესაც, დიდ ბრიტანეთში ჩვეულებრივი სოსისი ცალი 35 პენსად იყიდება (თითქმის ასჯერ იაფად). უცნობია თუ რამდენს ინონის ტერნერის მიერ დაამზადებული ერთი სოსისი, თუმცა ერთი კილოგრამის ფასი 700 ფუნტს შეადგენს. როგორც კვინ ტერნერმა განაცხადა, სოსისი შეიცავს მანგალიცის ჯიშის ღორის ხორცს, ტრიუფელს, სტილტონის კეთილშობილ ყველს, თეთრ სოკოს და 1947 წლის ჩამოსხმის პორტვინს. ტერნერის თქმით, სოსისი დასამზადებლად გამოყენებული ერთი ბოთლი ღვინის ფასი 450 ფუნტს შეადგენს, ერთი კილოგრამი ღორის ხორცი 25 ფუნტი ღირს, ტრიუფელები – 70 ფუნტი, თეთრი სოკო – 50 ფუნტი.

წლინახევრის ბავშვმა შეაიანი გველი მოკლა



ბრაზილიის რიუ-გრანდი-დუ-სულის შტატის ქალაქ მოსტარდასში წლინახევრის ბავშვმა სახელად ლორენცომ სახლის ეზოში შეაიანი გველი აღმოაჩინა და კბილებით სასიკვდილოდ დაღრმუნა. ბავშვის დედამ ჯერინა ფერერამ განაცხადა, რომ როდესაც ეზოში გამოვიდა, დაინახა, რომ მისი შვილი იმით ერთობოდა, რომ გველს კბენდა, პირი და ხელები კი სისხლით ჰქონდა მოსერილი. ქალის თქმით, ის იძულებული გახდა, დასახმარებლად მედიკოსების დეაქსა, რათა მას ბავშვისთვის გველი წაერთმია. ამ ინციდენტის შემდეგ ბავშვი ქალაქის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ექიმებმა მას ვერც გველის ნაკენი აღმოუჩინეს და ვერც შხამით მოწამელის რაიმე ნიშნები. მათ მშობლებში დაამუხმადეს, რომ მათი შვილის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ზოოპარკში ვეფხვემ ქალს უკბინა

ამერიკის ნებრასკის შტატის ზოოპარკში ვეფხვემ ქალი დაკბინა, რომელმაც გადანყვიტა, მასთან გალიაში შესულიყო და მოფერებოდა. 33 წლის ყავკლი ეიდი ზოოპარკში პელუნის ლამეს შეიპარა, გვერდი აუარა მცველებს და როდესაც მტაცებელთან გალიაში შეაღწია, ვეფხვემ მას ხელზე უკბინა. ეიდი საავადმყოფოს გადაიყვანეს, სადაც ექიმებმა მოახერხეს, მისთვის საშიშლად დაზიანებული ხელის თითები შეენარჩუნებინათ. – საავადმყოფოში ეიდი პერსონალთან მიმართებაში მეტად აგრესიულად იქცეოდა და აღკვეთილ ან ნარკოტიკული ინტოქსიკაციის ნიშნებს ავლენდა, – განაცხადეს პოლიციის წარმომადგენლებმა. მათ ასევე დაამატეს, რომ ყავკლინთან ერთად ზოოპარკში კიდევ ერთი ადამიანი შეიპარა, თუმცა ის ვეფხვთან გალიაში არ შესულა. ეიდს ბრალდებად წაუყენეს დანაშაულებრივი ქმედება დასაცავ ობიექტთან მიმართებაში. თუ როდის წარდგება სასამართლოს ნინაშე და რა სასჯელი ელის 33 წლის ქალბატონს, უცნობია. ზოოპარკის აღმსრულებელმა დირექტორმა დენის პეიტმა განაცხადა, რომ მოხდარის შემდეგ, დანაშაულებების აღმნიშვნელი უსაფრთხოების წესები გაამკაცრა, ასევე გაუმჯობესდა ტერიტორიის განათება, გაიზარდა სათვალავო კამერების რაოდენობა, ხოლო შესასვლელი კომპიუტერიზებული საკეტებით აღჭურვილს.




მოაშადა კახა ხატიაშვილმა

ქარიმ ბენზემა დააკავეს მას 5 წლიანი პატიმრობა ემუქრება

საფრანგეთის ნაკრების და მადრიდის რეალის ფორვარდი ქარიმ ბენზემა სერიოზულ სკანდალში გაეხვია. სამშობლოს, 3 ნოემბერს, ის პოლიციამ დააკავა. მას საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელის მატჩო ვალბუენას შანტაჟი ედება ბრალდა. არსებობს დაუზუსტებელი ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ბენზემა ვალბუენას მისი ინტიმური ვიდეოს გავრცელებით ემუქრებოდა და მისგან 150.000 ევროს ითხოვდა. ამ საქმეში ფიგურირებდა ლივერპულის ყოფილი ფორვარდი ჯიბრილ სისეცე, მაგრამ მას ყველა ბრალდება მოეხსნა. თუ ქარიმს ბრალი დაუმტკიცდა, მას ვერის აბანოში 5 წლის გატარება მოუწევს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქარიმი ვალბუენას ტელეფონზე ანონიმიურად ურეკავდა და მისგან ფულს ითხოვდა. ბენზემის ბრალად ფულის გამოძალა და შანტაჟი წაუყენეს. ჯერჯერობით ბენზემა დაკავებულია, თუმცა მას, სავარაუდოდ, გიროას სანაცილოდ მალე გაათავისუფლებენ. ამ ამბავმა ევროპაში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია და ინ-



ტერნეტი საესეა ბენზემას ფოტოებით. თვითონ ფეხბურთელს ჯერჯერობით ამ ყველაფერზე კომენტარი არ გაუკეთებია. დიდი ალბათობით, უახლოეს დღეებში ბენზემი რამე გაირკვევა.



ჯაბა კანკავა ტრავმა ჯერ ვერ მოიშუა

საქართველოს ნაკრების კაპიტანი ჯაბა კანკავა ისევ ტრავმირებულია. ჯაბამ ტრავმა ოქტომბრის შუა რიცხვებში მიიღო და მას შემდეგ მისი გუნდი რეიმის ძალიან ცუდად თამაშობს. რეიშმა საფრანგეთის ჩემპიონატში ზედიზედ 4 შეხვედრა წააგო და სატურნირო ცხრილში საგრძობლად უკან დაინია. კანკავა ვერც მომავალ ტურში დაეხმარება თვის გუნდს, რადგან როგორც ცნობილი გახდა, მას ტრავმა ჯერჯერობით არ მოუშუშებია. ჯაბას ბარძაყის ტრავმა ანუხებს და ის მოედანს უახლოეს მომავალში უნდა დაუბრუნდეს.

თბილისში მერსედს ბენის მოდის კვირული გაიმართება

5-დან 9 ნოემბრის ჩათვლით, ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მერსედს ბენის თბილისის მოდის კვირული გაიმართება. მოსკოვის, ბერლინის, მილანის, ლონდონის, ნიუ-იორკის და სტამბოლის შემდეგ, მსოფლიოს ამ ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ღონისძიებას თბილისში უმასპინძლებს. სპეციალურად ამ კვირული თბილისში ჩამოვლენ მსოფლიო მოდის წამყვანი სპეციალისტები. მერსედს ბენის თბილისის მოდის კვირულს მსოფლიოს წამყვანი ტელევიზიები და მედია საშუალებები გააშუქებენ. ღონისძიებაში 21 დიზაინერი მიიღებს მონაწილეობას, მათ კოლექციებს ქართული მოდელები წარმოადგენენ. ჩვენებებს საქართველოში სპეციალურად ჩამოსული სხვადასხვა ქვეყნის დიზაინერები და ბლოგერები საპატიო სტუმრის სტატუსით დაესწრებიან.



კალიფორნიის ინგლისელმა ყველაზე კვირი სოსისი დააფასდა

ქარიმ ბენზემა დააკავეს მას 5 წლიანი პატიმრობა ემუქრება

ჯაბა კანკავა ტრავმა ჯერ ვერ მოიშუა

თბილისში მერსედს ბენის მოდის კვირული გაიმართება